ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №8003224

ნომერი: AR11151377

თარიღი : 08.07.2026

გაცემის თარიღი : 14.07.2026

გაცნობის თარიღი : 14.07.2026

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, ჯორჯ ბალანჩინის ქუჩა, N 6;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ვასილი ცომაია პ/ნ 01025015668
- აწყურის ქ. კორპ. 3A ბინა 1

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2026 წლის 12 ივნისის №7961228 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2026 წლის 8 ივლისის №AR11151377 განცხადებით მომართა ვასილი ცომაიამ და მოითხოვა სამსახურის 2026 წლის 12 ივნისის

№7961228 ბრძანებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2026 წლის 12 ივნისის №7961228 ბრძანებით №01.13.02.001.119 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე შეთანხმდა სავაჭრო ცენტრის არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. ამავე ბრძანების სარეზოლუციო ნაწილის მე-8 პუნქტში მიეთითა, რომ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის 08/01/2026 წლის MIA 5 26 00037462 წერილის შესაბამისად, დამკვეთის მიერ უზრუნველყოფილ უნდა ყოფილიყო ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების მოწყობა და მათი დაპროექტების დოკუმენტაციის სსიპ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში სამი თვის ვადაში წარდგენა.
განმცხადებლის განმარტებით სამსახურის 2026 წლის 12 ივნისის №7961228 ბრძანებაში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა. კერძოდ, ითხოვს ბრძანების სარეზოლუციო ნაწილის მე-8 პუნქტის ამოღებას, რადგან აღნიშნული პროექტი საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან შეთანხმებულია.
სამსახურმა დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად დაადგინა, რომ მოთხოვნის დაკმაყოფილება შესაძლებელია. კერძოდ, სამსახურის 2026 წლის 12 ივნისის №7961228 ბრძანების სარეზოლუციო ნაწილის მე-8 პუნქტით გათვალისწინებული საკითხი საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან შეთანხმებულია, რაც დასტურდება ამავე სამსახურის 2026 წლის 8 იანვრის MIA 5 26 00037462 წერილით.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა და გაასწოროს ტექნიკური შეცდომა მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:
1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2026 წლის 12 ივნისის №7961228 ბრძანებაში და სარეზოლუციო ნაწილიდან ამოღებულ იქნას მე-8 პუნქტი.
2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2026 წლის 12 ივნისის №7961228 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2026 წლის 12 ივნისის №7961228 ბრძანებასთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.